

### გამოცემა „გერანი“-ს № 3.

11'

351.761

### III. 6. ଶର୍ଷକାଳୀନ

೨೦ ಹೆಗಡೆಯಾದ್ದರಿಂದಾಗಿರುತ್ತಿರುವ ಸಹಾಯ

20 8 8 6 3 0 0 0


ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧବ

## ՃՈՒՅ ՀՅԱՅԻՆ

ମୂଲ୍ୟ


# მათელიგელი სახელიები!

2662 4022



338959030742

193



8026630330

0805060

ელექტრომშეჭდავი მ. სულაძისა, სოლოლ., პასკევიჩ. ქ. № 3.

1907

ძირს ლოთობა!  
ძირს მათრობელი სასმელები!

დედამიწის უშველებელი საუკეთესო სივრცე, რომლითაც რამდენიმდე მიღიონ დამშეულ ხალხს შეეძლო თავი ერჩინა,—დაბანდებულია თამბაქოთი, ვაზებით, ქერით, სვიათი, ჭვავით და კართოფილით; ყველა იმით, რითაც აძხადებენ მათრობელ სასმელებს: ღვინოს, ლუდს და უმთავრესათ არაყს.

მიღიონობითი მუშა, რომელსაც შეეძლო ხალხის სასარგებლო რამ გაეკეთებია, ზეპოხსენებულ საგნებს ანდომებს თავის სიცოცხლეს. ინგლისში—გამოანგარიშებულია, რომ ერთი შეათედი მუშებისა, ღვინისა და არყის შემზადებას უნდებიან.

შერე რა შედეგი მოსდევს თამბაქოსი, ღვინისა და ლუდის შეძალება—ხმარებას?

ერთი ძველი ამბავია მოთხოვილი რომელი-ლაც ბერზე... ვითომც იგი ეშმაკს დაეხაძლია, რომ თავის სენაკში არ შეუშვებდა და თუ ეშმაკი თავის სურვილს მიაღწევდა, ბერს ის უხდა იღესრულებია, რასაც ეშმაკი უბძანებდა. აჭარბენ, ეშმაკი დაჭრილ, სისხლით მოთხვრილ ყვავათ გადაიქცა, დაიწყო საცოდავათ ფართხალი ბერის სენაკის მახლობლათ, ბერს შეებრალა და თავის სენაკში შეიყვანაო. როდესაც ეშმაკი ბერის სენაკში შევიდა, ბერს დანაშაულის ჩასადენათ საში წინადადება

მისცა: მკვლელობა, მეძაობა\*) და დათრობა. ბერმა ყველაფერს დათრობა არჩია, იმ ფიქრით, რომ და-ვითრობი და თუ ვავნებ რასმე. ისევ ჩემს თავს, სხვას მაინც არაფერს დავუშავებო. მაგრამ როდე-საც დაითრო, გონება დაკარგული სოფელში წავი-და, იქ, ვიღაცის ცოლისაგან მოხიბლულმა, მეძაობა ჩაიდინა, ხოლო როდესაც ქალის ქმარმა შემოასწრო და წინააღმდეგობა გაუწია, — მკვლელობა მოახდინა.

ასე აგვიწერენ ზემოხსენებულ ძველს მოთხრო-ბაში, თუ რა შედევი მოსდევს სიმთვრალეს. და მართლაც, მათრობელ ნივთიერებათა ხმარებას არ შეიძლება, რომ ასეთი ცუდი შედეგი არ მოჰყეს. იშვიათია ისეთი ქურდი, კაცის მკვლელი, რომე-ლც თავის დანაშაულობას სიფხიზლის დროს ას-რულებდეს. სამჯავროს აწერილ ქალალდებიდან სჩანს, რომ ცხრა მეათედი დანაშაულობისა, სი-მთვრალის დროსა ხდება. უფრო აშკარათ დასამტ-კიცებლათ იმისა, რომ უმეტესი დანაშაულობანი ღვინისაგანაა გამოწვეული, შეზიძლია შემდეგი ფაქ-ტი მოვიყვანო: ამერიკის ზოგიერთ შტატებში, სა-დაც სრულიათ ალკოჰოლულია ღვინის სმა, შემო-ტანა და გაყიდვა ყოველგვარი მათრობელი სასმე-ლებისა, — დანაშაულობანი თითქმის მოლათ მოის-პო: არ არის არც ქურდობა, არც მკვლელობა და იქაური ციხეები... ცარიელნი სდგანან!

---

\*) მეძაობა — ბოზობა, გარუცნილება.

ასეთია პირველი შედეგი მათრობელ ნივთიერებათა ხმარებისა.

მეორე შედეგი ცუდი გავლენაა, რომელსაც ახდენენ მათრობელი ნივთიერებანი ადამიანის ჯან-მრთელობაზე. იმის გარდა, რომ მათრობელ ნივ-თიერებათა ხმარებისაგან წარმოსდგებიან სულ სხვა გვარი, არა ჩვეულებრივი მტანჯავნი ავაღმყოფება-ნი, რას გამოც მრავალნი იხოცებიან,— შენიშვნუ-ლია, რომ მსმელი ხალხი, ჩვეულებრივ ავაღმყო-ფობას ვერ იტანს, ძნელათ რჩება. სიცოცხლის და-ზღვევის დროს, სიცოცხლის დამზღვევა საზოგა-დოება მუდამ მეტს აძლევს მათ სიცოცხლეში, რო-მელნიც არ სმენ, ვიდრე მათში რომელნიც ხეა-რობენ მათრობელ საიმელებს.

ასეთია მეორე შედეგი მათრობელ ნივთიერე-ბათა ხმარებისა.

მცსამე—ყველაზე უფრო უსაზარლესი შედეგი ის არის, რომ იგი აბნელებს ადამიანის გონებას, ახშობს სინიდისს: ლვინის სმა ჰქემნის კაცს თავხე-დათ, ბრიყვათ და ბოროტათ.

რა სარგებლობას გვაძლევს მათრობელ ნივთი-ერებათა ხმარება? რას გვჟარებს იგი?

არაფერს.

დამცველ-მფარველნი აჩყისა, ლვინისა და ლუ-დისა, წინეთ გვარწეუნებუნენ, რომ ეს სასმელნი ადამიანს ჰქარებენ ჯან-ლონეს, ძალას, ათბობენ და ამხიარულებენ. მაგრამ ეხლა თვალ საჩინოთ და-

მტკიცდა, რომ ყველა ეს მტკნარი სიცრუეა, სისულელეა! მათრობელ ნივთიერებას არ შეუძლია ადამიანის ჯან-მრთელობას არგოს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბუნებითად მასში დაყოლილია შხამი, ოლკოლოლი და შხამის ხმარებამ კი, არა მგონია სარგებლობა მოუტანოს ვისმე. დასამტკიცებლათ იმისა, რომ ღვინო ძალას არა ჰქატებს ადამიანს, მოვცყვან შემდეგ მაგალითს: რომ შეადაროთ მოელი თვის, ანუ წლის ნამუშევარი ორი ოსტატისა, რომელნიც ერთგვარის ცოდნით არიან აღჭურვილნი, — აღმოჩნდება, რომ ამათ შორის რომელიც არა სვამს, ის მეტსაც აკეთებს და კარგსაც. გარდა ამისა, დამტკიცდა, რომ რომელ ჯარის ნაწილსაც ლაშქრობის დროს არაყს ასმევენ, ის უფრო სუსტი და ჩამორჩენილია, ვიდრე ის, რომელიც არა სვამს. აგრეთვე დამტკიცებულია ისიც, რომ ღვინო არ ათბობს კაცს, პირ-იქით, როდესაც დალევ და ეს ღვინისაგან აღზრდნებული სითბო გაივლის, უფრო უარესათ ცივდები... ისე რომ — ხანგრძლივ სიცივეს ფხიზელი უფრო ადვილათ იტანს, ვიდრე მსმელი. სიცივის დროს მსმელნი იყინებიან არა სიცივისაგან, არამედ ღვინისაგან.

ღვინისაგან წარმომდგარი შექცევა — მხიარულება, რომ ნამდვილი და ბუნებრივი არ არის, ეს აშკარაა. ყველამ კარგად იცის, რა გვარია გალექებულთა მხიარულება. აბა თვალი გადავლეთ და დაინახავთ რა ამჟები ხდება სხვა-და-სხვა ქალაქებსა

და სოფლებში ნათლობა-ქორწინების სადღესასწაულო დღეებში. გალექებულთა მხიარულება ყოველთვის ლანძღვა-გინებით, ჩხუბით, თავ-პირის მტვრევით, ადამიანის ღირსების დამკირებით და ყოველგვარი უსიამოვნებით თავდება.

ღვინო არც ადამიანის ჯან-მრთელობასა რგებს, არც მის ძალ-ლონეს, არც ათბობს და არც ამხიარულებს; ღვინოს ხალხისოვის ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ამიტომ, ყოველი გონიერი და კეთილსინდისიერი კაცი, მოვალეა, არამც თუ თითონ არ იხმაროს მათრობელი ნივთიერებანი და არც სხვა შესთავაზოს, — არამედ, ყოველივე ძალ-ლონით ეცაროს, რომ მოისპოს ხალხში ჩვეულება ამ უსარგებლო და მავნებელ საწამლადას ხმარებისა.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ეს ასე არა ხდება; ხალხი ისე ძვირათ აფასებს ამ ძველ ზნე-ჩვეულებას და ადათს, რომ ათასში ერთს ვერ იპოვნი არა სვამდეს. თვით კეთილ-გონიერი და წესიერი ადამიანებიც კი, არამც თუ თითონ ვერა სომობენ მათრობელ სასმელებს, — სხვებსაც სთავაზობენ და, შეძლებისამებრ, სასარგებლოთაც სცნობენ მათ ხმარებას.

„ღვინო კი არ არის სასაყვედურო და დასაგმობი — ამბობენ ისინი — არამედ ლოთობა“. დავით მეფემა სთქვა: „ღვინო ამხიარულებს კაჭის გულს“. „რომ არა ვსვამდეთ, მთავრობას უპირველესი შემოსავალი მოაკლდებოდა“. „უღვინოთ შეუძლებე-

ლია დღესასწაულს „შევხედეთ, ქორწილი და ნათ-  
ლობა გადავიხადოთ“. „არ შეგვიძლიან ყიდვა-გა-  
ყიდვის დროს არ გადავერათ... ან ძვირფას სტუ-  
მარს ულვინოთ როგორ დაუხვდეთ!“ „ჩვენ ისეთ  
ტანჯვა ვაეპაში ვართ, რომ როგორ შეიძლება არ  
დავლიოთ“—ამბობს გაჭირვებული მუშა-კაცი. „ჩვენ  
თუ ვსვამთ, ისე, შემთხვევით და ამასთანვე ჰქუას  
არა ვკარგავთ, არავის ზიანს არ ვაყენებთ“,—ამ-  
ბობენ მდიდრები. „რუსეთის შხიარულებას სმა შე-  
აღვენს“—სოქეა თავადმა ვლადიმერმა. „ჩვენ ჩვენის  
ლოთობით, თუ ვავნებთ, ისევ ჩვენ თავს ვავნებთ  
და ეს კი ჩვენი საქმეა, ვის რა ხელი აქვს!? ჩვენ  
არც სხვას ვარიგებთ და არც სხვის დარიგებასა ვსა-  
კიორებთ. ლოთობის დასაბამი ჩვენ არ გვეკუთვნის  
და არც ჩვენით დათავდება!“—ამბობენ დაუფიქ-  
რებლათ და ამითი იმართლებენ თავს სხვა და-სხვა  
ხარისხის და ხნოვანების ლოთნი.

დიახაც, ამ რამდენიმე ათი-ოცი წლის წინეთ  
შესაძლო იყო თავი გაემართლებიათ ამ გვარის  
მსჯელობით, ესლა კი გვიანლაა! ზემო-აღნუხსული  
პასუხებით მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა თავის  
მართლება, როდესაც მათრობელ სასმელების ხმა-  
რება ჯერ ისეც უებარ სიამოვნებათ მიაჩნდათ: რო-  
დესაც ეკონათ, იგი ძალ-ღონეს, ჯან-მრავალობასა  
პრეტენზი და არ იცოდნენ, რომ მასში, პირ-იქით,  
ადამიანის აგებულების დამარტვეველი საწამლავი  
უჩევა; არ იცოდნენ ის საშინელი შედევი ლო-

თობისა, რომელიც დღეს ყველასთვის აშეარაა. მაშინ შეეძლოთ ეთქვათ მათრობელი სასმელები უკნებელნი არიანო, ასობით და ათასობით უსაშვალო სატანჯველით უდროვოთ, რომ არ ესაღმებოდნენ წუთისოფელს, მხოლოდ იმიტომ, რომ შეეჩივნენ სასმელებს და იმდენი ძალა არ შესწევდათ, მიეტოვებიათ როგორმე; მაშინ შეეძლოთ ეთქვათ მათრობელი სასმელები უკნებელნი არიანო, როდესაც ჩვენ ჯერ არ გვენახა ის ასი და ათიათასი მშიერ-მწყურჭალი და წამებული ცოლი, ბავშვები, მხოლოთ იმიტომ, რომ მათი ქმრები და მამები ლვინის სმას მიეჩივნენ და ხელი ველარ აიღეს; მაშინ შეეძლოთ ეთქვათ, მათრობელი სასმელები უკნებელნი არიანო, ვიდრე ჩვენ არ გვენახა ის ასი და ასი ათასი დამნაშავე, რამლებითაც სავსეა ციხეები, გამასწორებელი, რაზმები და კატორლა; ვიდრე არ გვენახა ლვინის მეოხებით გარყვნილების ორევში ჩაცვინული ქალები და ის დაღუპული ბალხი, რომელთაც შეეძლოთ განეგრძოთ სიცოცხლე თავის თავისა და სხვის სასარგებლო-სასიქადულოთ.

იმ მიტომაც არ შეგვიძლია ვთქვათ: „ლვინის სმა თუ უსმელობა, კერძო საქმეა, რომელიც ყველას არ შეებება; ლვინის ზომიერათ ხმარებას ჩვენთვის შახარალებლათ არ ვსთვლით; ჩვენ არავის დავარიგებთ და არც სხვისი დარიგება გვპირია; ლოთობის დასაბამი ჩვენ არ გვეკუთვნის და არც

ჩვენით დათავდება“. ეხლა აღარ შეგვიძლია ესეები ვთქვათ: მათრობელ სასმელების ხმარება, მით უმეტეს ჩვენ დროში, გადაჭარბებულათა თუ ზომიერათ, —კერძო კი არა, საზოგადო საქმეა.

ეხლა მოელი ქვეყანა—სულ ერთია, უნდათ ეს თუ არა,—ორ ჯვეფათ არის გაყოფილი: ერთნი იბრძეიან, სიტყვითაც და საქმითაც, მომწამვლელი შხამის, მათრობელ ნივთიერების ხმარების წინააღმდეგ,—არც თვითონ სვამენ და სხვებსაც უშლიან რჩევითა და უთაგონებით; მხოლოთ მეორენი კი ხელს უწყობენ სიტყვითაც და საქმითაც ამ საწამლავის ხმარებას. ასეთი ბრძოლაა ატეხილი ყველა სახელმწიფოში და აგერ, ოცი წელიწადია რა განსაკუთრებულის ძალით რუსეთშიაც დაიწყო.

ნათქვამია: „არ ცოდნა, არ ცოდვააო“. ჩვენ ხომ ვიცით რასაც გჩადით, ვისაც ვემსახურებით, როდესაც ლვინოსა ვსვამთ და სხვაც ვაძალებთ?.. თუ ვიცით რომ ლვინის სმა ცოდვაა და მაინც გსვამთ და სხვასაც ვუმასპინძლდებით, მაშინ აღარაფერი თავის გასამართლებელი საბუთი არა გვაქვს.

ნუ ამბობენ: არ შეიძლება, რომ არ დავლიოთ და სხვასაც არ გავუმასპინძლდეთ დღესასწაულებისა, ქორწინებისა და სხვა ამ გვარ დღეებში; ყველანი ასე იქცევიან, ასე სცხოვრობდნენ ჩვენი მამები და წინაპრები, ამიტომ არც ჩვენ შეგვიძლიან გამოვწყდეთ და გამოვირჩიოთ სხვებში. ყველა ეს ტყუილია: ჩვენმა წინაპრებმა და მამებმა

ბევრი ისეთი მავნე ჩვეულებანი გვიანდერძეს, რომლის  
შედეგი დაბოლოს მათთვის ცხადი შეიქნა და ცხვირ-  
შიკ ამოკრეს. მაშასადამე, ჩვენც უნდა განვდევ-

ნოთ ის ბოროტება. რომელიც ეხლა ჩვენთვის  
თვალსაჩინოა. ღვინო, რომ ვნების მეტს არაფერს  
გვაძლევს, ეს ცხადი და უგვეველია. ეხლა რაკი შე-  
გირყეთ, რომ ღვინო და სხვა ამგვარი მათრობელი  
სასმილები ათასობით და ასი-ათასობით აღამიანებს  
ლოპავინ, მავნებელია, რათ უნდა მივაწოდოთ მე-  
გობრებს და ნაცნობებს რომელნიც ქორწილზე,  
ნაოლობაზე ანუ რაიმე დღესასწაულ დღეს მოვ-  
ლენ ჩვინთან?

თასაბამითვე ხომ ასე არ მიმდინარეობდა ქვე-  
ყანა, როგორც დღეს არის, — ყველაფერი იცვლებო-  
და; ცუდი კარგს უთმობდა აღვილს, — თავის თავად  
კი არა, თვითონ ადამიანის გონება და სინილისი  
ჰქმნიდა კარგ ცხოვრებას. ეხლაც ჩვენი გონება და  
სინილისი მოითხოვს. რომ შაორობელი სასმელები  
არც ჩვენ ვიხმაროთ და არც სხვებს მივაწოდოთ.

საზოგადოთ, მიღებულია — გაპკუცხონ და შე-  
იძულონ ის ლოთი ათამიანი, რომელიც ტრახტი-  
რებში და სამიკიტნოებში ითვრება ისე, რომ გო-  
ნებას ჰკარგავს, რომელიც ისე მიწვეულია სმას.  
რომ თავს გრძარ იჭერს და რაც კი გააჩნია, ყვე-  
ლაფერს ღვინოში ჰფლანგავს; იმათ კი, რომელნიც  
მუდამ ყილულობენ ღვინოს და სახლში შიაქვთ,  
თითონაც სვამენ და თავიანთ სტუმრებსაც ასმევენ,

—პატივსა სცენენ და პატიოსან ხალხს უწოდებენ, თუმცა ესენი ლოთებზე უფრო გასაკიცხნი არიან.

ადამიანი გალოთდა იმიტომ, რომ ოდნავ მსმელებმა მაგალითი უჩენეს და ლვინის სმას შეაჩვიეს. ადამიანი როდი გალოთდებოდა, რომ არ ენახა ყველასაგან პატიკურული და პატიოსანი ხალხი, რომელნიც თვითონაც სვამენ და თავის მეგობრებსაც ასმევენ.

ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, რომელმაც ლვინის გემო არც კი იცის, მის გემოს და ძალის იგემებს ხოლმე, არა ლოთებთან, რომელნიც სვამენ და სხვებსაც სთავაზობენ განსაკუთრებულ შემთხვევაში, არამედ დღესასწაულზე ან ქორწილში,—ამ ხეებულ დარბაისელ ხალხთან.

ამიტომ, ვინც ლვინოს სვამს და სხვებსაც სთავაზობს, თუნდ ზომიერათ, ერთი სიტყვით, რა შემთხვევაც უნდა იყოს,—დიდს დანაშაულსა სჩადის.

ამბობენ: „ჩენით არ დაწყებულა და არც ჩენით დათავდება“. არა, ჩენით დათავდება თუ შევიგნებთ, რომ ყოველ ჩენგანისთვის ლვინის სმა და მისი უარყოფა, ერთი და იგივე არ არის; თუ შევიგნებთ, რომ თვითეული ბოთლის, თვითეული ჭიქას დალევით, ვემსახურებით იმ ეშმაკის საქმეს, რომელიც ღუპავს აღამიანის საუკეთესო ძალთა და ძლიერებათ. დაპეტეთ, უარჰყავით სულელური ჩეფულება,—ლვინის ხარება—დადგმასწაულია,—ნათლობასა და ქორწილებში; ეს აღამაღლებს თქვენს სულს,

ეს დაგანახვებით ლვთაებას და მაშინ შეიგნებთ, რომ  
მართალია ჩეცნით არ დაწყებულა, მაგრამ ჩეცნით  
კი დასრულდება

ვინც უნდა იყო, ჩემო მკითხველო: ცხოვრე-  
ბის ველის გულ-უბრყვილოთ მმზირალი ქაბუკი თუ  
ცხოვრებაში გზა გაკვლეული ვაჟკაცი, ბატონი თუ  
ქალბატონი, ახალგაზდა თუ ხნიერი, მღიდარი თუ  
ლარიბი, განთქმული თუ არვისაგან ცნობილი,—  
ვინც უნდა იყო, არ ძალ-გიძს დარჩე ორ ბანაკს  
შეა... უეჭველათ ორში ერთი უნდა აირჩიო: წინ-  
აღუდგე ლვინოს, ანუ მიემხრო მის მოყვარულთ,—  
ან ლმერთს უნდა ემსახურო, ან ეშპაკს.

თუ შენ ახალგაზდა კაცი ხარ და ჯერ არ მი-  
ჰყაჩებიხარ სასმელს; ჯერ არ მოუწამლავს შენი  
არსება ლვინოს, ძვირათ დააფასე ეკ შენი გაურყვნე-  
ლობა და შორს ყოფნა ცდუნებათაგან. იცოდე  
თუ მიეკარე ცდუნებას, მერე გაგიძნელდება მისი  
დაძლევა. არა, ნუ ჯჯერა, რომ ლვინომ გააფარ-  
თოვოს შენი მხიარულება. შენს წლოვანებაში თა-  
ვის თავეთაა შთანერგილი მხიარულება ქეშმარიტი,  
კეთილი... და ლვინო კი, ამ ნამდვილ, ბუნებითი  
მხიარულებას გარდაქმნის გალექილ, უგნურ და ბო-  
როტებით აღსავსე მხიარულებათ. უმეტესათ უფრთ-  
ხილდი ლვინოს, იმიტომ, რომ შენს წლოვანებაში  
შრავალია გზა მაცდურებისაკენ, რომლის დაძლევა  
მეტათ ძნელია. ლვინო წაგართმევს მას, რაც შენს  
ხნოვანებაში შენთვის აუცილებლათ საჭიროა: გა-

მოგაცლის გონიერებას, რომელიც გიფარავს ცდუნებათაგან... ნასკამი შენ იმას იზავ, რაც ფხიზელს ფიქრათაც არ მოგივიღოდა. რათ უნდა ჩააგდო შენი თავი ასეთ საზარელ განსაცდელში?

უკეთუ უკვე მოწიფული კაცი ხარ, ჩემო მკითხველო, და მათობელ სასმელების ხმარება ჩვეულებათა გაქვს გადაქცეული, ანუ ახლათ იწყებ მასზე მიჩვევას,—დაეჩარე, ვიღრე დრო გაქვს, გადაეჩიე მაგ უსაშანელეს თვისებას, თორებ თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომ ის შეიძყრობს მოელ შენს არსებას და შეიძლება შენც ისეთივე ლოთი გახდე, როგორც სხვა მრავალნი არიან, რომელთა მობრუნების იძედიც დაკარგულია. ყველამ ასევე დაიწყეს, როგორც შენ იწყებ. თუნდაც ვიფიქროთ, რომ შენ შესძელი თავ-დაჭრა, ზომიერა სმა,— ეგ სულ ერთია: როდესაც სვამ, უეპველია, შეს-თავახებ შენს უპტოს ძმას, შენს ცოლს, ბავშვებს და აი, შეიძლება ესენი შენებრ მტკიცე ხასიათისა არ გამოდგნენ, შეიძლება ვერ შესძლონ თავდაჭრა. რა მოუვათ? გალოთდებიან და ამაში შენ იქნები დამნაშავე. გაიგე და შეისმინე, რომ მოელი ოჯახის ავ-კარგი შენზეა დამყარებული, შენგან მოელის შვება-სიხარულს. და მიტომაც, თუ იცი, რომ ლვინოს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და პირიქით ბოროტებასა სთდსაგან ხალხში, მაშინ არამც თუ მონურათ უნდა განიმეორო ის, რასაც შენი მაშა-ვავა სხადიოდა, არამედ უნდა ეცარო შესცვა-

ლო ეს საძაგელი ჩვეულება და მის ალეგორია სახვა  
რამე თაამყარო.

ნუ შეგაშინებს ის, რომ რაკი ძველ ჩვეულებას  
ულალატებ და აღარ იხმარ ღვინოს ქორწინებასა,  
მეჯლისსა, დღეობასა და ნათლობაში,—გაგიწყრე-  
ბიან, აღშფოთდებიან... ეს ნუ შეგაშინებს! მრავალ  
ადგილას უკვე აგრე იქცევიან: ღვინის მაგიერ, გემ-  
რიელი საჭმელით და რაიმე არა დამათრობელი  
სასმელებით უმასპინძლდებიან ხალხს.—და ისიც უმე-  
ცარ ხალხს—მხოლოთ პირველ ხანათ უკვირს ეს...  
მერე კი ეჩვევიან და ესიამოვნებათ კიდეც.

თუ მოხუცი ხარ, და იმ ხნოვანებაში იმყო-  
ფები, რომ დღეს თუ წვალ ანგარიში უნდა ჩააბა-  
რო მართლ-მსაჯულ უზენაესს იმის შესახებ თუ რო-  
გორ ცხოვრისტი—იცოდე, დიდი სიფრთხილე გმარ-  
თებს! შენ უკვე გამოცდილი ხარ: თვით ცხოვრე-  
ბა დაგანახვებდა, რომ ღვინო საწამლავია, შხაპია,  
უბედურებაა.—და თუ ყველა ამის შეძლებ, მოზარდ  
თაობას იმის მაგიერ, რომ გაუფრთხილდე და ღვი-  
ნო დააგმობინო,—პირ-იქით ხელს უწყობ, ასმევ  
—დიდს დანაშაულობას და დიდს ცოდვას სჩადი-  
ხარ!

ვაი ამ სოფელს ცდუნებათაგან! შეცდენილნი  
შევლენ სასუფეველში, მაგრამ ვაი შეცდენელთ.

მოვალენი ვართ გავიგოთ, რომ ქვეყანა დღეს  
ორათა გაყოფილი და გვსურს თუ არა გვსურს,—  
ერთ-ერთს უნდა მივემხროთ!

აირჩიეთ რომელი ქვეყანაც გსურდეთ!

୩୧୬୦ ୫ ମାର.